იტყოდეს, თაყუანისაცემულო ანგელოზთა და კაცთაო და შემაერთებელო ცათა და ქუეყანისაო, დიდებაო დედათაო და ზღუედო ქალწულთაო. ვინ არს ყრმად ესე იესუ, სადაგ-საგონებელი გუამი ესე ორბუნებად, ერთი სამგუამოვნებისად, ძეელი დღეთად დღენდელი, ცხებული უფლისად და მერმე კუალად მომავალი მსაჯული სიმართლისად, რომლისა საყდარი ესაია, ეზეკიელ და დანიელ შეძრწუნებით იხილეს, ხოლო მე ან შენ გიხილე, საყდარი ცხორებისად და საუკუნოვან სუფევისად, ოთხთა ცხოველთა უცხოველესი, ქერობინ-სერაბინთა უზემთაესი, წმიდასა ცათაგსა უწინარესი. სულსა შენსა განვიდეს მახვლი, ოდეს ძე შენი ძელსა დამსჯუალული იხილო, უმჯულოთა შორის ძვრისმოქმედთა ჯუარკუმული და დაფლული, ხოლო შემდგომად ცხოველი იხილო აღდგომილი და ამალღებელი ჯორცითა, ვინაჟა უჯორცოდ მოვიდა და კუალად მომავალ არს მსაჯული სიმართლისად, რომელიცა აღვიდა ღმერთი და კუალად სრული, ორითა ბუნებითა სრულითა, ორითა ნებითა და საქმითა, ხოლო ან მომეც მე მკლავთა რად შევეხო შეუხებელსა და განვიცადო მჴსნელი ისრაჴლისად და ამბორს უყო უჯრწნელთა ჯორცთა მისთა, ხოლო შენ იხარებ ანცა და ოდეს მიხუდე მისა, მეოხ გუეყავ, ცხორებისათჳს სულთა ჩუენთაგსა.

შენიშვნა: 1. „წმიდა არსთა“ თარგმანი ეკუთვნის გიორგი მთაწმიდელს (კრებული „ჟამნი“). A-85 ხელნაწარში ტექსტი შემოკლებულია. სრული ტექსტი დაცულია Jer. 127 (8v-17r) და Sin. 88 (5r-15r) ხელნაწარებში (აღწერილობა 1987: 197).

46. გამოავლინენი სამარადისონი **ქ**-თთავე ჴმათა ზედა (217r-219r).

ჴმად **ა**. – რომელმან ნათელი აღმოუბრწყინვე სოფელსა, სულნი ჩუენნი განწმიდენ ყოვლისაგან ცოდვისა ოხითა წმიდათა მთავარანგელოზთაგან, მაცხოვარ, გუაცხოვნენ ჩუენ.

ჴმად **ბ**. – ნათლისა მომცემელო უფალო, გამოავლინე ნათელი შენი და განანათლენ გულნი ჩუენნი ოხითა წმიდათა მთავარანგელოზთაგან და მაცხოვნენ ჩუენ.

ჴმად **გ**. – გამოავლინე ნათელი შენი, ქრისტე ღმერთო, და განანათლენ გულნი ჩუენნი ოხითა წმიდათა მთავარანგელოზთაგან და გუაცხოვნენ ჩუენ.

ჴმად **დ**. – რომელმან ნათელი აღმოუბრწყინვე სოფელსა, ბნელსა შინა მყოფი სული ჩემი [იჴსენ] ოხითა წმიდათა მთავარანგელოზთაგან, გარდამოავლინე ნათელი შენი და განგუანათლე, ქრისტე ღმერთო ჩემო, და გუაცხოვნენ ჩუენ.

ჴმად **ა** გუერდი. – ნათლისა მომცემელო უფალო, გამოავლინე ნათელი შენი და განანათლენ გულნი ჩუენნი ოხითა წმიდათა მთავარანგელოზთაგან და მაცხოვნენ ჩუენ.

ჴმად **ბ** გუერდი. – ნათელი მონწყალებისა შენისა, ქრისტე ღმერთო ჩუენო, გარდამოავლინე ჩუენ ზედა და განანათლენ სულნი ჩუენნი ოხითა წმიდათა მთავარანგელოზთაგან და შეგჴწყალენ ჩუენ.

ჴმად **გ** გუერდი. – ნათელი მიუწდომელო ქრისტე ღმერთო ჩუენო, გარდამოავლინე ნათელი შენი და განანათლენ სულნი ჩუენნი ოხითა წმიდათა მთავარანგელოზთაგან და შეგჴწყალენ ჩუენ.

ჴმად **დ** გუერდი. – ნათელი ხარ, ქრისტე, მიუაჩრდილებელი, განმანათლენ ჩუენ შენითა ნათლითა ოხითა წმიდათა მთავარანგელოზთაგან და მაცხოვნენ ჩუენ.

შენიშვნა: ზანდუკში გამოავლინეები სხვაგვარადაა დასათაურებული: „გამოავლინენი სამსგეფსონი რვათავე ჴმათანი“. „დიდ სვინაჴსარში“ გამოავლინეთა შედგენილობა და ტექსტები ცოტათი განსხვავებულია (მდრ.: დიდი სვინაჴსარი 2018: 460-461).

47. გალობანი წმიდისა იოვანე ნათლისმცემელისანი, წმიდისა იოვანე მახარებელისა და წმიდისა იოვანე ოქროპირისანი, ერთბამად შემოკრებილნი ერთმოსეხნაობისათჳს და ერთმადლისათჳს, დაღაცათუ წინამორბედი არს უმეტესი ყოველთა ნაშობთა დედათაგსა. ჴმად **ბ** გუერდი. უგალობდითსა. „ზღუად მენამული“. – მადლთა ტაკუენი... – 219r-221v.

შენიშვნები: 1. სათაურის გასწვრივ მარჯვენა აშიაზე ტბელ აბუსერისძის შენიშვნაა: „ამას ქუ[ემ]ოფთ <ჩემგან> [შემატებ[ულნი] და ახ[ლად] <თქემულნი> შემი[...] დ[ავდე]ე [...] და ტრ[ოპარ]ნი, [რომელნი წარიკითხევდით] შენდობ[ად] ბ[რძან]ეთ“ (219r);

2. „გალობანი“ ტბელ აბუსერისძის თხზულებაა, რომლის სრული ტექსტი ამავე წიგნში იხეჭდება (იხ. ტექსტები).

48. უგანცხადებულესადრე ჴერ-არს გამოთქუმად დლისაძიებელთათჳსვე, რომელთათჳს პირველსა საუწყებელთა შინა აღვწერე ... 221v-223v.

შენიშვნები: 1. ტბელ აბუსერისძის „ქრონიკონის“ მე-7 თავი. იბეჭდება აქვე (იხ. ტექსტები).

2. სათაურს მოსდევს **ტბელ აბუსერისძის შენიშვნა:** „რად მისთვის ჰლიოთ ამის ჯერისა კითხვად ვიდრე მეორედ წითლულადმდე⁸⁵, უკუანის ესე შეუდგინე მეძიებელმან“ (222r).

49. ფებერვარმან რად ნაკ ყოს ცხრა ოც და ან რვა მლამთად ათ ერთობს, მთენთად სამ და ათ უამი. – ტურიფონს ჰშუენიან... 224r-227r.

შენიშვნები: 1. ახლავს **ტბელ აბუსერისძის სქოლიო** 224r გვერდის ქვედა აშიაზე, რომელიც სინგურიტაა შესრულებული: „ესე იამბიკონნი ხუთთა თუეთა მეტნი არ იყუნეს ენასა ზედა ქართულსა და ოთხთა თუეთანი არსენი ბულმაისიმისძემ თქუა ქართლისა კათალიკოზმან ჩემითა შესუენითა“ (224r);

49.2. არსენ ბულმაისიმისძის თებერვალ-მაისის იამბიკური სვინაქსარი დაწერილია ტბელ აბუსერისძის თხოვნით და წარმოადგენს იოანე პეტრიწის მიერ გალექსილი სექტემბერ-იანვრის საეკლესიო კალენდრის (A-85, 197v-213v) გაგრძელებას. ორივე ავტორის იამბიკონი დაწერილია ქრისტეფორე მიტილინელის „გალობანი ყოველთა წმიდათნის“ მიბაძვით (**მაკარაძე 2014: 213-219**). იამბიკური სვინაქსარის არსენისეული ნაწილის ელექტრონული პუბლიკაცია (<http://arifioni.blogspot.com/>) ი. მაკარაძემ გამოაქვეყნა.

50. მარტისა დღეთა სამათ და ერთობასა უამსნორსთორმეტობს ნათელ-ბნელთად მოქცევა. – ევდუკიასა კნინლა შევებლვენი... 227r-230r.

51. აპრილსა დღენი სამ ათ, ხოლო უამები მლამთად სამ და ათ, მთენთად ერთ და ათობს. – შდაჭირვებად კნინლა მარიამისი... 230r-232v.

52. მაისისა დღეთა ერთ სამათობად, მლამთა ათ ოთხ ჰყოფს, მთენთა ათუამობასა. – საშოფთან ხდილი... 232v-236r.

53. მეორესა კვრიაკესა მენელსაცხებელთასა, ხუედრნი. ორშაბათსა მესამესა. უგალობ[დითსა]. „მოვედით, ერნო“. – აჰმალღი, ქრისტე... 236r-237r.

შენიშვნა: საგალობელთა ციკლი გიორგი მთაწმიდელის ზატიკიდან (Sin. 72:22 – **აღწერილობა 1987: 81**).

54. ხუთშაბათსა შუაზატიკისასა ხუედრნი. მესმასა. „ქრისტე ღმერთო, ცანი“. – ემსგავსე შენ მხოლოდ უაღრესი არსებათად... 237v-238r.

შენიშვნა: საგალობელთა ციკლი გიორგი მთაწმიდელის ზატიკიდან (Sin. 72:33 – **აღწერილობა 1987: 84**).

55. ამაღლებისა პარასკევსა ხუედრნი. ღამით გან. უღმერთთა. – აჰმალღი ზეცად ქრისტე... 238r-239r.

შენიშვნა: საგალობელთა ციკლი გიორგი მთაწმიდელის ზატიკიდან (Sin. 72:53 – **აღწერილობა 1987: 89**).

56. სულისა წმიდისა კვრიაკესა ხუედრნი. ღამით გა[ნსა]. ა გუერდი. „რომელმან შეიმოსე ნათელი“. – განუშორებელად გამომავალსა მამისაგან... 239r-v.

შენიშვნები: 1. ახლავს **ტბელ აბუსერისძის შენიშვნა** (239v), რომელც სინგურიტ იწყება: „განზოგებისა ოთხშაბათისად რად კვრიაკესაცა იგალობო, მაშინ სამარიტელი სადცა იწყებს და კვრიაკესა წაღმა სამარიტელისად დაავდე და განზოგებისავე გალობდი, ვიდრე სხუად ოთხშაბათამდე, რომელ არს მსგევსი განზოგებისად და მას წაღმა კვრიაკისა საგალობელისა შემოსვლამდე იგივე სამარიტელისად იგალობების ოთხშაბათით მწუხრით შაბათსა ცისკრამდე. და ამაღლებისა წინა დღისად ვინადვან არა სწერია ამაღლებისა მუჯღნი ითქუნენ აღდგომათავე თანა. და ცისკრად ითქუნენ პასექნი და წარგზავნენ ყოვლითა აღვსებისა წესითა და ოხითადცა იგივე სამსგევსოსა თანა. ქრონიკონი, რომელ ზემოთ სწერია⁸⁶, იგი აღარ უნდა. ძეგლსა ზედა ახალი საგალობლები მე მოვჰყიდე⁸⁷. სრულითა ქრონიკონითა დამიწერია, მისითა განგებითა ახალთქმულითა⁸⁸, იამბიკონითა⁸⁹ და რაღცამე მიმატებულბანი მუნცა

⁸⁵ მითითებულია „ქრონიკონის“ მე-7 თავის ადგილი თხზულებაში: მე-6 თავის დასასრული („რად მისთვის ჰლიოთ“), მე-8 თავის სათაურამდე („მეორედ წითლულადმდე“).

⁸⁶ იგულისხმება პასქალურ-ქრონოლოგიური შინაარსის ფრაგმენტი – „უწყებად ჯერ-არს ჟამთა და წელთათჳს“ ინდიქტიონის 92-წლიან ცხრილთან ერთად (61v-65v).

⁸⁷ იგულისხმება კრებულში შეტანილი ახალი თხზულებები, ანუ ე. წ. „შემატებულნი“, რომელსაც ტბელ აბუსერისძე „სამთა იოვანეთა“ ჰიმნოგრაფიული კანონით იწყებს.

⁸⁸ იგულისხმება ტბელ აბუსერისძის „ქრონიკონი სრული მისითა საუწყებელითა განგებითა“.

⁸⁹ იგულისხმება „კვკლოსი ასურული შავთელისაგან თქმულითა განგებითა-იამბიკონითა“.

დამინერია, მომა[ტ]ებულისა დასაწყისსა⁹⁰ და ოხითანი მარხვათანი და ბატიკთანი... იბაკოებითურთ და თუ რად ჭრელი მუჭლი⁹¹ ბატიკთა შინა... ზემო... ჰნახავ ამათ წიგნთა კულა...“ (239v).

2. ტბელ აბუსერისძის რედაქტორულ შენიშვნასთან დაკავშირებით იხ. **აბუსერისძე ტბელი 1998: 315-316, 319-320; სულავე 1999: 18.**

3. საგალობელთა ციკლი „სულისა წმიდისა კვრიაკესა ხუედრნი“ გიორგი მთანმიდელის ბატიკიდანაა ამოღებული (Sin. 72:69 – **აღწერილობა 1987: 92**).

58. დიდსა შაბათსა, მწუხრი, უფალო ღაღადყავსა, ჳმად ა. „ეჰა დიდებ“. – ნათელი სამწუხროდ გამოუჩნდა... 240r-244v.

შენიშვნები: 1. საგალობელთა ციკლი („უფალო ღაღადყავი“, სტიქარონები, „იბაკოდ“, „იკოსი“, „გალობანი“, „გამოავლინე“) „მარხვანის“ ეფრემ მცირისეული რედაქციიდან (Sin. 5:XIII – **აღწერილობა 1979: 21**).

2. საგალობლს 241v მარცხენა აშიაზე ერთვის **ტბელ აბუსერისძის შენიშვნა**, რომელიც დაზიანებულია და აღარ იკითხება („...თა... და დიდ... ლისა...ნვე...“).

59. ახალკვრიაკედ, უფალო ღაღადყავსა, ჳმად ა. „შენ სიტყუად“. – ყოველთა დღესასწაულთა უდიდებულესი... 244v-247r.

შენიშვნა: საგალობელთა ციკლი („უფალო ღაღადყავი“, სტიქარონები, „ოხითად“, „იბაკოდ“, „გალობანი“) გიორგი მთანმიდელის „ბატიკიდან“ (A-402:3 – **აღწერილობა 1986: 5**).

60. მეორესა კვრიაკესა მენელსაცხებელთად. ბ. „მამისაგან“. – გამოჩნა ნათელი ბრწყინვალე... 247r-250r.

შენიშვნები: 1. საგალობელთა ციკლი („უფალო ღაღადყავი“, სტიქარონები, „იბაკოდ“, „გალობანი“, „გამოავლინე“) გიორგი მთანმიდელის ბატიკიდან (Sin. 72:17 – **აღწერილობა 1987: 79**; A-402:4 – **აღწერილობა 1986: 5**).

2. სათაურის გასწვრივ, მარცხენა აშიაზე, სინგურით შესრულებული **ტბელ აბუსერისძის შენიშვნა**, რომელიც დაზიანებულია და აღარ იკითხება: „და იბ... ღმერთო...ღ. ვნ...“ (247v).

61. დ კ ვ რ ი ა კ ე ს ა გ ა ნ რ ლ უ ე უ ლ ი ს ა . ჳმად ა. „შენ სიტყუად“. – აღხმენ სიტყუედ რად, ქრისტე, ქალაქად... 253r-256r.

შენიშვნა: განრღვეულის კვირის საგალობელთა ციკლი („უფალო ღაღადყავი“, სტიქარონები, „იბაკოდ“, „იკოსი“, „გალობანი“, „გამოავლინე“) გიორგი მთანმიდელის ბატიკიდან (Sin. 72:28 – **აღწერილობა 1987: 82**; A-402:5 – **აღწერილობა 1986: 5**).

62. ოთხშაბათსა შუაბატიკისასა, განზოგებად ბატიკთად. სამშაბათსა, მწუხრი, უფალო ღაღადყავსა. ა. „შენ სიტყუად“. – რომელი პირველ მთასა ზედა... 253r-256r.

შენიშვნა: საგალობელთა ციკლი („უფალო ღაღადყავი“, სტიქარონები, „იბაკოდ“, „იკოსი“, „გალობანი“, „გამოავლინე“) გიორგი მთანმიდელის ბატიკიდან (Sin. 72:17 – **აღწერილობა 1987: 79**; A-402:5 – **აღწერილობა 1986: 6**).

63. მეხუთესა კვრიაკესა სამარიტელისად, შაბათსა, მწუხრი, ჳმად დ. „თანასწორმან“. – ქრისტე ღმერთი ესრეთ ეტყვს... 256r-259v.

შენიშვნა: საგალობელთა ციკლი („უფალო ღაღადყავი“, სტიქარონები, „იბაკოდ“, „იკოსი“, „გალობანი“, „გამოავლინე“) გიორგი მთანმიდელის ბატიკიდან (Sin. 72:36 – **აღწერილობა 1987: 84**; A-402:6 – **აღწერილობა 1986: 6**).

64. მეექვსესა კვრიაკესა შობითგან ბრმისად. ა. „შენ სიტყუად“. – რომელი ქალწულისაგან ჳორცითა განჰკაცენ, ქრისტე კაცთმოყუარეო... 259v-262v.

⁹⁰ შენიშვნის ტექსტის ბოლო ნაწილი დაზიანებულია, მაგრამ გარკვეული დასკვნის გაკეთება მაინც შეიძლება. რედაქტორის სიტყვა „მიმატებულებანი“ გულისხმობს „სამთა იოვანეთა“ საგალობლამდე შეტანილ ტროპართა კომპლექტებს: „იბაკონი მარხვათა და ბატიკთანი (213v-215r); „ოხითანი მარხვათა და ბატიკთანი (215r-216r); „გამოავლინენი საწელიწდონი“ (216r-217r); „გამოავლინენი სამსგეფსონი რვათავე ჳმათანი“ (217r-219r). ეს რომ ნამდვილად ასეა, ამაზე მეტყველებს „მიმატებულებანის“ დასაწყისში „ოხითანი მარხვათანი და ბატიკთანის“ დასახელება.

⁹¹ **ჭრელი მუჭლი** – რთული პოლიფონიური ქსოვილისა და განვითარებული ჰანგის მქონე საგალობელთა ჯგუფი (**ჩხეიძე 2018: 9-10**). ამ ტერმინს ტბელ აბუსერისძე ხელნაწერში სხვაგანაც იყენებს – იხ.: 84.2 კომენტარი და ზანღუკი (52).

შენიშვნა: საგალობელთა ციკლი („უფალო ღაღადყავი“, სტიქარონები, „იბაკოდ“, „იკოსი“, „გალობანი“, „გამოავლინე“) გიორგი მთაწმიდელის ზატიკიდან (Sin. 72:45 – **აღწერილობა 1987: 86**; A-402:7 – **აღწერილობა 1986: 6**).

65. მეექვსესა ხუთშაბათსა, ამაღლებად უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი, უფალო ღაღადყავსა. ჳმად ა. „შენ სიტყუად დაუს“. – მთავარნი ანგელოზთანი განკურნებულ იყვნეს... 202r-265v.

შენიშვნა: საგალობელთა ციკლი („უფალო ღაღადყავი“, სტიქარონები, „იბაკოდ“, „იკოსი“, „გალობანი“, „გამოავლინე“) გიორგი მთაწმიდელის ზატიკიდან (Sin. 72:50 – **აღწერილობა 1987: 88**; A-402:7 – **აღწერილობა 1986: 6**).

66. მეშუდესა კვრიაკესა, ტიჴ წმიდათა მამათა ნიკიელთად. ჳმად ბ გუერდი. „ყოველი სასოებად“. – ყოველივე სულისად გონიერებად შეკრბეს... 265v-268v.

შენიშვნა: საგალობელთა ციკლი („უფალო ღაღადყავი“, სტიქარონები, „იბაკოდ“, „იკოსი“, „გალობანი“, „გამოავლინე“) გიორგი მთაწმიდელის ზატიკიდან (Sin. 72:55 – **აღწერილობა 1987: 89**; A-402:8 – **აღწერილობა 1986: 7**).

67. პირველ მარტვლისა შაბათსა. ჳსენებად საუკუნიტგანთა შესუენებულთა მამათა და ძმათა ჩუენთა ჳორციელისაცა შაბათსა. ა. „შენ სიტყუად“. – ჳეცისა სასუფეველსა დაანესენ, ქრისტე, სულნი... 268v-273v.

შენიშვნა: ტბელ აბუსერისძე ითვალისწინებს გიორგი მთაწმიდელის ინსტრუქციას, რომელიც A-402 ხელნაწერშია დაცული: „პირველ მარტვლიისა შაბათსა „ჳსენებად ყოველთა სულთად“ ყოველი ჳორციელისა შაბათსა ჳპო[ო და მას] ჳგალობდი“ (A-402:8 – **აღწერილობა 1986: 7**). ჳატიკის საგალობელთა ამ ციკლშიც შედის: „უფალო ღაღადყავი“, სტიქარონები, „იბაკოდ“, „იკოსი“, „გალობანი“, „გამოავლინე“. იკოსის გასწვრივ მარცხენა აშიაზე ჳვრის სახით მიწერილია ავტორის სახელი: „რომანოსნი“ (270r). აშიაზეა მითითებული, ასევე, „გალობანის“ ავტორი – „თეოფანე“ (270v).

68. კვრიაკესა მეერგასისა⁹² დღესა, მოსლვად წმიდის სულისად წმიდათა მოციქულთა ჳედა, უფალო ღაღადყავსა ა. „შენ სიტყუად“. – განახლდებიან ენანი... 273v-276r.

შენიშვნა: საგალობელთა ციკლი („უფალო ღაღადყავი“, სტიქარონები, „იბაკოდ“, „იკოსი“, „გალობანი“, „გამოავლინე“) გიორგი მთაწმიდელის ზატიკიდან (Sin. 72:64 – **აღწერილობა 1987: 92**; A-402:9 – **აღწერილობა 1986: 7**).

69. კვრიაკესა ყოველთა წმიდათასა, უფალო ღაღადყავსა, ჳმად ა. „შენ სიტყუად და“. – მოვედით მოყუარენო დღესასწაულისანო და ქრისტეს მოწამეთა... 276r-276v.

შენიშვნა: საგალობელთა ციკლი („უფალო ღაღადყავი“, სტიქარონები, „იბაკოდ“, „იკოსი“, „გალობანი“, „გამოავლინე“) გიორგი მთაწმიდელის ზატიკიდან (A-402:10 – **აღწერილობა 1986: 7**).

70. უფალო ღაღადყავი ხატისა უხილავისად, ამავე გალობითა⁹³ თქემული არსენი ბულმაისიმისძისაგან, ქართლისა კათალიკოსისა. უფალო ღაღადყავსა. მამულისა არსებასა... 278v-284v.

შენიშვნები: 1. არსენ ბულმაისიმისძის საგალობელთა ციკლში, რომელიც ვარდან აბუსერისძის თხოვნითაა დაწერილი, შედის: „უფალო ღაღადყავი“, „სხუანი“, „მჳდომარე, სხუანი“, „სტიქარონნი“, „სხუანი“ დ გუერდი, „კონდაკი“, „ნარდგომად“, „გალობანი“ ჳმად დ გუერდი, „გამოავლინე“, „აქებდითსა“.

2. საგალობლებს მოსდევს ტბელ აბუსერისძის **შენიშვნა:** „ყოველი სასოებად“ – ესე ჳემო უნდის“ (283v).

3. არსენის ჳიმნოგრაფიულ ციკლს ერთვის ტბელ აბუსერისძის **ვრცელი კომენტარი:**

„თუესა აგვსტოსასა იგ (16) თაყვანისცემად ცხოველის მყოფელისა საუფლოდსა ხატისა ჳელითუქმნელისად, ოდეს მიყვანებულ იქმნა ედესიადთ კოსტანტინოპოლელ“.

ხოლო მეორედ, ვინაჲგან მიემადლა ნათესავსაცა ჩუენსა მოწყალებითა ღმრთისაჲთა ღირსისა ნეტარისა მამისა ჩუენისა **ანტონი მართოდმოყველისა** მიერ და დღესა ფერისცვალებასა ვემთხუევით კექსა ჳედა

⁹² ხელნაწერშია „მეერგასისესა“.

⁹³ „ყოველთა წმიდათა კვრიაკის“ გალობანიც „ჳმად დ გუერდი“.

გარდამოტუფრულსა ტილოვსა მიერ, ამისთვის ესე „უფალო ღაღადყავი“ ითქუა **არსენის მიერ კათალიკოზისა**. ესე, რომელი ამას ზემოთ წერილ არს, ჳმად **ღ** გუერდსა გალობითა⁹⁴.

და მეორენი თვთძლისპირნი გალობანი, რომელნი ამის სიტყუსა შემდგომად წერილ არიან მეორის გუერდსა, რომელთა საქცევნიცა მუჯლ-მუჯლისა თავსა წარწერილ არიან⁹⁵.

ხოლო მესამის გუერდისნი ითქუნეს **საბადს მიერ სუნგელოზისა**, კაცისა ღმერთსემოსილისა, კარისა ებისკოპოსისა და ვიტყვო **ზ** აგვსტოსსა⁹⁶.

ხოლო ვინადგან **ღირსისა ანტონის** მიცვალებადცა ათრედმეტსავე იანვარსა იქმნა⁹⁷, დღესა დიდისა **ანტონი მეგვპეტელისა**, ამისთვის მაშინცა ვგალობთ და ვიტყვო პირველად, რომელ „მწნეონთა“ ზედა სწერია⁹⁸ და მოურთავთ მაშინდა, რად **დიდისა ანტონის** ხოლვე ითქუას და მოურთავთ „დიდებად“ „მჭდომარესა“ ამას, ვითარმედ „შუამდინართო“⁹⁹.

უფალო ღაღადყავი, ჳმად მეორის გუერდი ამათ ზემოთა გალობათა თავსა სწერია და რადცა აკლია ზემოთავე გალობათა ქვემოთ სწერია „აქებდითსა“ თანა“ (284v-285r).

71. თვთძლისპირნი ზესთგამოთქუმისა ჳელით უქმნელისა ხატისანი. ესეცა არსენი-სგანვე თქუმულნი კათალიკოზისა. უგალობდითსა [ჳმად **ბ** გუერდი]. „ზღუად მენამული“. – მოზარდმან პირველ... 285r-293r.

შენიშვნები: 1. არსენის „თვთძლისპირნი გალობანი“ დაწერილია აბუსერ აბუსერისძის თხოვნით. საგალობლის პირველი დასდებლის გასწვრივ მარჯვენა აშიაზე ავტორის – **არსენ ბულმაისიმისძის კომენტარები:**

ა) „ღაღაცა[თუ] ძლისპი[რნი]ცა ესე კ[ეთილ] არიან, გა[რნა უ]კუეთო სხ[უანი] გენებოს, [ძუ]ელთა [ძლი]სპირ[თაგან] მო[იხუ]ემდე“ (285r). ეს მინაწერი ე. კოჭლამაზაშვილმა გაშიფრა (**სულაფა 1999: 19**).

ბ) „ესე მუჯლი ოთხგზის ითქუას ამითვე საქცევითა“¹⁰⁰ (292r);

72. „თვთძლისპირი“ ჰიმნოგრაფიული კანონის წარდგინება-სათაურს შინაარსობრივად აგრძელებს **ტბელ აბუსერისძის შენიშვნა**, რომელიც საგალობლს ბოლოში ერთვის და მთლიანად სინგურითაა შესრულებული:

„† ამის ზემოთნი მეოთხის გუერდნი გალობანი ვარდანისაგან შეხუენითა თქუმულნი¹⁰¹ ამით მეორითა გალობითა განაშუენნა¹⁰², ვინადგან პიროვანნი საქცევნი ფსალმუნისაგან აღ-მოტვფრნა საღმრთოთა გამოცხადებითა. ამისათვის ძმამა ჩემმან აბუსერი არსენის მიმართ გალობათა თქუმისა იძულებად მოიგონა საღმრთოვსა პირისათვის, რომლისა მოგონებასა ამით ებისტოლითა აბუსერის მომართითა ესევე არსენი აქებს, რომელი მოწერა გელათით ამათვე გალობათა თანა“ – 293r-v.

72.1. < **არსენ ბულმაისიმისძის ეპისტოლე აბუსერ აბუსერისძისადმი** >

[293v] მონად მონათა ღმრთისათად მდაბალი **არსენი** ამარტოლი.

⁹⁴ არსენის „გალობანი“, რომელიც „უფალო ღაღადყავს“ მოსდევს.

⁹⁵ იგულისხმება არსენის „თვთძლისპირნი გალობანი, ჳმად **ბ** გუერდი“ (285r-293r), რომელსაც ერთვის „პიროვანნი საქცევნი“ ფსალმუნიდან.

⁹⁶ საბა სვინგელოსის „გალობანი ქრისტეს განგებულებისანი“ მე-3 გვერდითი ხმისაა – „ჳმად **გ** გუერდი“ და ტბელ აბუსერისძის განწესების მიხედვით, უნდა შესრულდეს ფერისცვალების მომდგნო დღეს – **ზ** (7) აგვისტოს.

⁹⁷ 17 იანვარი – ანტონ დიდის (მეგვიპეტელის) ხსენების დღეა. ტბელ აბუსერისძის ცნობით, ამავე დღეს გარდაცვლილა ანტონ მარტყოფელი.

⁹⁸ იგულისხმება არსენ ბულმაისიმისძის „უფალო ღაღადყავის“ „მწნეონის“ სამი სტროფი: 1. „გიხაროდენ, მ მამაო“; 2. „დიდსა იოვანესთა კუალთა მისდევდი“; 3. „ვითარცა დაფარულ იყო კეცის ჭურსა“.

⁹⁹ იგულისხმება არსენის „უფალო ღაღადყავის“ „მჭდომარე“, მე-2 დასდებელი: „შუამდინართ ვარსკულავი აღმოჰყვდ“.

¹⁰⁰ იგულისხმება „თვთძლისპირნი გალობანი“ **მუხლი:** „რომელმანცა ჳერ-იჩინა საფლავსა დიდებად ჩემთვის ცოდვითა მეუდრისა და აღდგა ღმრთებერ ღმრთიეშუენიერად და თანა აღმიყვანა და დამსუა მარჯუენით მამულთა საყდართა, დღეს ხატი მისი წმიდად ჩვენდა წინა მდებარე, თვთ ძრისტეს ქმნილი, ძრწოლით განვიცადოთ, ძმანო“. **პიროვანი საქცევი:** „ეკრძალებთ ერი ჩემი სჯულსა ჩემსა, მოყავით ყური თქუენი სიტყუათა პირსა ჩემისათა“ (ფს. 77.1).

¹⁰¹ არსენის „უფალო ღაღადყავი“ და ჳმად **ღ** გუერდი „გალობანი“ ავტორს დაუწერია ვარდან აბუსერისძის თხოვნით.

¹⁰² არსენის „თვთძლისპირნი გალობანი, ჳმად **ბ** გუერდი“ დაწერილია აბუსერ აბუსერისძის თხოვნით. საგალობელს ახლავს „პიროვანი საქცევები“ ფსალმუნიდან.

დიდ არს გონიერებად ნაშობითურთ თვსით სიბრძნით, რომელი მარადის ღმრთისათა განიხილავს მისთვისთა მოქმედი, ვითარცა დასაბამად შიშსა მისთა მანუეველი¹⁰³, რომელი-ესე განმწმედელთა გონებისა და სულისათა ზენადთ მოეცემის, სადათ-იგი მაუკუდავებელნი წყარონი დიან, ვჰნატრით მისგან წდევლთა. და მე უკუეთუმცა წუეთიცა ერთი მიმელო მისგან, არამცა ესრეთ აღმელავმა ენად ქებად შენთვის, რომელმან განინათლე საცნაურითა ხედვითა გონებად მარადის ზემჭუირობი, ესევეითართა ქებისმეტყუელებათათვს მბრძნობი და მთნები.

ჰ ღმრთისმოყუარეო მთავარო დიდგუარიანო და სახელმადლო **აბუსერი!**

კუალად დიდ არს ძალი სიყუარულისად, რომელი მორჩილ-ჰყოფს [294r] გონებასა შეკადრებად შეუკადრებელთაცა, ვითარ ესე იქმნა ან ჩემზედაცა მეცნიერისა, ვითარმედ ყოველი წერილი ძეგლი არს მეტყუელი, გამომაჩინებელი აღმწერელისად საუკუნოდ: რომლისამე საქებელ-ყოფად, ხოლო სხვსა – განქიქებად უმეცრებისა¹⁰⁴, ვითარ ვხედავ ან ჩემსა.

გარნა ვიძლიე და ესე ოდენ ამით წესთაგან, ვიდრემდის დამავიწყდაცა წინაგსწარმეტყუელისა თქუმულთად ღმრთისა მიერ: „ჰრიდეთ სიტყუათა შჯულისა ჩემისათა“¹⁰⁵, რომელთადა-ეგე არა მიბრძანებთ მეტყუელებად. და ანლა ოქროსა იგი პირი ჴმობს **იოვანე**: „რომელთა არა სულისა მიერ წმიდისა მიელოს და რიტორობდენ, მსგავს არიან ბრმისა კედელსა მფეჟუებელისა“.

გარნა თქვენ რად ჰყავთ და ვითარ და რად ღირდლოვანსა შინა ურწყულსა ჴევსა უდაბნოვასა ჰგონეთ მდინარე და მდიდრობასა **ნილოვსა** ნანდულ ოქრონეკტართასა და არა აღივსენით ჴურღმულნიცა რად თავისა დამტეობელთა, თქუმულთაებრ, ფერჯთანი მოიხადენით. ანუ ვინ სადა მჯდომარემან აღსავსესა ტრაპეზსა ჰრქუა „ვიხაროდენი“, ხოლო გლახაკისა უბეთაგან სასოებდა განძლომასა. ანუ სამეფონი სანდევნი ტაკუკნი ფიალნი აღსავსენი და-ვინმე-უტევნაა ოდესცა? და გული უთქემიდა მახრუტსა პერედრინთასა შთანრედად. შემნდობელ თქვენდა მაღალი, რომელთა აიძულენით თავნი და[294v]ტეგებად ვითარ ვინ თქუას წყალთა **პონტოვსათა** და მისწრაფებად ფრეთა უქმთა **არაბიავსათა**?

გარნა მოგმადლენ გულსმოდგინებაჲმან სარწმუნოებად და სარწმუნოებაჲმან – საქმე, რადთა ამით შინა სრულნი იშუებდეთ სასოებით ნაყოფითა.

ჴემარიტებად უფროვს არს თხზულთა სიტყუათა წინაშე ბჭისა კეთილისა და სიმართლე – წინაშე მფეჟისა დიდისა. ესე იყავნ ხუავ თქვენდა და თქვენთა ნამუშავეთა ნაყოფ – შეწირულ მომცემელისა, რამეთუ არარად არს კეთილთაგანნი, რომელიმცა არა მისი იყო.

მეცა ორლანოსა მითხოეთ გაოზანებად უკადრებელთათვს და საღმრთოთა მკადრესა. ხოლო ნაცვალი თვთ მან მოცკეს მისდა მხედველთა, უფროვსა მის მიერ ხედულთა.

აქათა შინა კეთილ ყოფად, ხოლო უსრულესთა ღირს-მყვენ მიახლებად და განცდად სასოებისა წმიდათასა. ამინ!

შემატებად, გინა მოკლებად ნუ იყოს ნუცა სიტყვსად და ნუცა რაღსად უნდოთა მაგათ სიტყუათა ზედა. საქცევთა ზედა თვთ უფალ ხარ, ვითა რად და სადა გინდეს დაწერად. და მწერალი მართალი და კარგი მკითხველი ნუ დამსწყევს, ეგე პირველი ნუსხად არს და სწრაფით ნაწერი (293r-294v).

73. გალობანი ქრისტეს განგებულებისა და განკაცებისანი, თქუმულნი ნეტარისა მამისა საბა სუნგელოსისა, კარისა ებისკოპოსისანი, შეხუენითა ძმისა ჩემისა ვარდანისითა, რომლისა თავნი წითელთა ასომთავართანი მსიტყუელობენ. ჴმად **გ (3) გუერდი**. უგალობდითსა. წამისყოფითა ღმერთო. – ქადაგებულსა არსთა... 294v-298r.

შენიშვნა: ვარდან აბუსერიძის თხოვნით დაწერილი საბა სუნგელოსის ჰიმნოგრაფიული კანონი „გალობანი ქრისტეს განგებულებისანი“ აკროსტიქულია. „გალობანის“ აკროსტიქია: „**ქრისტე ღმრთის ხატო, მეოხ ექმენ ვარდანს**“.

74. თუესა აპრილსა **კვ**, გინა ნოენბერსა სამსა, გინა ათსა, უფალო ღალადყავი წმიდისა გიორგი მთავარმოწამისა. ჴმად **ა**. ზეცისა განწესებულთა. – აღიტყუელენი ჴელნი თქვენნი... 298r-301v.

¹⁰³ შდრ.: „დასაბამი სიბრძნისად არს შიში უფლისად“ (იგავნი 1.7).

¹⁰⁴ შდრ.: „იტყვს დიდი მაქსიმე, ვითარმედ: „აღწერილი სიტყუად ანუ თვთ თავისა თვსისა მოსაჴსენებელად აღიწერების ანუ სარგებელად სხუათა ანუ ორისათვსეცე ამის, ანუ საგნებელად ვითამე, ანუ საჩუენებელად, ანუ საჭიროყოფისათვს აღწერისა მისისა“ (**ხრონოგრაფი 1920: 239**).

¹⁰⁵ შდრ.: „ეკრძალებთ ერი ჩემი შჯულსა ჩემსა“ (ფსალმ. 77.1).

შენიშვნა: წმ. გიორგის ჰიმნოგრაფიული ციკლი („უფალო ღალადყავი“, სტიქარონები, „იბაკო“, „იკოსი“, „ნარდგომად“, „გალობანი წმიდისა გიორგისნი“, „გამოავლინე“) გიორგი მთაწმიდელის „თვენიდან“ (Ath. 73/57, 58).

75. თუესა ოკტონბერსა, ოცდაექუსსა, წმიდისა დიმიტრისი, უფალო ღალადყავი, ჳმად ა. „შენ სიტყუად დაუსაბამოდ“. – ბრწყინვალესა მას კრებასა... 301v-304v.

შენიშვნები: 1. სტიქარონების სათაურის გასწვრივ მარჯვენა აშიაზე **ტბელ აბუსერისძის კომენტარია** (დაზიანებული):

„სიბრძნე... ბისად ...მათა ...ოსა[მონა]ხე და... „[მჭდო]მარე“ ...თავსა [სტი]ქარო[ნთა]“ (302r).

დარჩენილი ფრაგმენტებით ირკვევა, რომ ტბელ აბუსერისძე აქ საუბრობს „უფალო ღალადყავსა“ და „მჭდომარეზე“, რომლებიც ხელნაწერის ცარიელ ფურცლებზეა შეტანილი (301v-304v).

2. წმ. დიმიტრის ჰიმნოგრაფიული ციკლი გიორგი მთაწმიდელის „თვენიდან“ (**აღწერილობა 1979: 176**) მომდინარეობს და მასში ერთიანდება: „უფალო ღალადყავი“, სტიქარონები, „ოხითად“, „იბაკო“, „იკოსი“, „გალობანი“ და „გამოავლინე“.

76. თუესა თებერვალსა იგ. წმიდისა თეოდორე სტრატელატისად. „ზეცისა განწესებ“. – კეთილად მსახურებითა სიმდიდრე მოიგე... 304v-307r.

შენიშვნა: წმ. თეოდორეს ჰიმნოგრაფიული ციკლი („უფალო ღალადყავი“, სტიქარონები, „ოხითად“, „ნარდგომად“, „იბაკო“, „იკოსი“, „გალობანი“ და „გამოავლინე“) გიორგი მთაწმიდელის „თვენიდან“ (Jer. 100, 64v-71r).

77. „უკუეთუ გინდეს ცნობის, ესე არს თავი დივანთად...“ – 307v.

შენიშვნა: ტბელ აბუსერისძის „ქრონიკონის“ ფრაგმენტები, რომელშიც ჩვენი გამოცემის პარაგრაფები შემდეგი თანმიმდევრობითაა წარმოდგენილი: 12.2-3, 11.3, 12.1 და 1.1.

78. < ქრონიკონი სრული მისითა საუნყებელითა განგებითა > – „ამას ზედანარწერილსა უწინარეს დასწერდით თავსა სრულისა ამის ქრონიკონისასა...“ – 308r-338r.

შენიშვნა: წარმოდგენილია ტბელ აბუსერისძის სამეცნიერო-პედაგოგიური ნაშრომის – „ქრონიკონის“ ტექსტის ძირითადი ნაწილი (მე-7 თავის გარდა) და 532-წლიანი პასქალური ცხრილი. ორივე მათგანს ავტორის არაერთი კომენტარი აქვს დართული, რომლებსაც ჩვენი გამოცემის სქოლიოებში ვებეჭდავთ.

79. გალობანი მწვალეებელთა ყოველთა თვთეულისა წვალეებისა შეჩუენებისანი. – უგალობლითსა. ჳმად ბ გუერდი – 338v-341v.

შენიშვნები: 1. საგალობლის ტექსტს ბოლოში ერთვის **ტბელ აბუსერისძის შენიშვნა:** „ესე „გალობანი მწვალეებელთა ყოველთა შეჩუენებისანი“ ითქუნ განქიქებისა მათისათვს, უკუეთუ ვისმე გენებოს, პირველსა კვრიაკესა წმიდათა მარხვათასა“ (341v)

2. „გალობანი მწვალეებელთა ყოველთა შეჩუენებისანი“ ტბელ აბუსერისძის თხზულებაა და წინამდებარე წიგნში მეორედ ქვეყნდება (პირველად ცალკე წიგნად გამოიცა იხ.: **ხალვაში 2003**).

80. ჳერ - არს ჳსენებად შუენიერისა და დიდისა ახოვანისად, რამეთუ ესე არიან სასწაულნი წმიდისა მთავარმოწამისა გიორგისნი და ანდერძი მისისა სასოებით შევედრებულისა და ამათ სიტყუათა შესაკადრებელად ღირსებისაებრ მოქუმელისად. – ვინადთან თანაარსმან სიტყუამან, სიბრძნემან და ძალმან... 342r-350v.

შენიშვნა: „სასწაულნი წმიდისა მთავარმოწამისა გიორგისნი“ (ზანდუკისეული დასათაურებით, „ახალნი სასწაულნი წმიდისა გიორგისნი“) ტბელ აბუსერისძის თხზულებაა და იბეჭდება წინამდებარე წიგნში. კრებულში ნაწარმოების ტექსტს ავტორი აგრძელება ხელნაწერის „ანდერძით“.

80.1. <ტბელ აბუსერისძე, ხელნაწერის ანდერძი>

1. [350v] „უწყ¹⁰⁶, რამეთუ არა ვარ შესარაცხავი ღმრთიფმონიჭებულისა კეთილისად, გარნა ამათ წმიდათა ღმრთისათა მეოხებამან მეცა მომანიჭოს სრულ-ქმნად ჩემგან სამუშაკოდ კადრებულისა **ხიხათა ეკლესიისად**, რომლისა მუშაკობასა შინა მრავალნი სასწაულნი აღესრულნეს, მრავალთა კაცთა ფათერაკთაგან ჳსნისანი: ქვისა,

¹⁰⁶ „ანდერძის“ დასაწყისი მარკირებულია პირველი სიტყვის წითელი ასომთავრულით. გარდა ამისა, პირველ აბზაცს მარცხენა აშიაზე ერთვის **ტბელ აბუსერისძის შენიშვნა:** „ამას ზემოდთსა სასწაულთავე თანა აღსწერდეთ წმიდისა გიორგისთა, ვისცა გენებოს“ (350v).

დასაცემელად განმზადებულისა, მრავალთა არღარა მისაწყუდელად გარეუკუნეცევანი; და წამოქცეულთა კლდეთაგან მშდობით წსნანი მრავალთანი; და ამას ზარის განსაზღვლად [351r] მაღალსა და ტიალსა ადგილსა შთასაჭრელად განმზადებულთა კაცთა და ფერჴჩატუმილთა აღმოყვანებით წსნანი; და მრავალთა მუშაკობით მოქმელთა, ქვისმქმნელთა და თანაშემწეთა მათთა, ხანგრძლად სასწეულოდ განმზადებულთა, მესყეულნი კურ-ნებანი; და კაცისმჭამელთა მგელთა ოტებანი სრულიად საზღვართა შინა სრულისა **საქართველოფსათა** წინაშე მისსა ლიტანიობითა● და დედისა ღმრთისა ხატისა მის თანავე გარეთ განყვანებითა, რომელსა სასოებდა დედაჲ ჩემი გამოუთქმელითა სარწმუნოებითა და სამარადისოფთა წინაშემდგომარებითა და დაუდუმებელითა კითხვითა წმიდისა სახარებისაჲთა, ფსალმუნებითა და ლოცვითა, რომელი მე დამიტევა ანდერძობით, მფარველად ორისავე ცხორებისა ჩემისა●¹⁰⁷.

2. ესე და სხუანი მრავალნი დავიდუმნე და ძალსა სიტყვასა მოკლედ მოვიდე მე, არაღირსი და შეურაცხი შესაძრწუნებელთა ამათ სიტყუათაჲ და სიყუარულისათჳს იძულებული და არსაკადრებელად ვერმომთმინე **აბუსერისძე ტბელი**, ძე ერისთავთ-ერისთავისა **ივანესი** და დიოფალ-დიოფლისა **ხათუთაფსაჲ**, რომელსა შემდგომად ქმრისა მისისა **თურქთა** ჯელითა აღსრულებისა მონოზონებისა მისისათჳს მალღისა **ეკატერინე** ეწოდა; ძმაჲ ერისთავთ-ერისთავთა **აბუსერისი** და **ვარდანისი**, რომელთა ბრძანებითა [351v] ჯელ-ვყავ შენებაჲ ეკლესიისაჲ, სალოცველად გარდასრულთა ჩუენთა და ცოცხალთა და მშობელთა ჩუენთა და საწსენებლად პაპისა ჩუენისა **აბუსერისსა** და ძმისა მისისა **სანანოფსთჳს**, რომელმან ნეფსით თჳსით თავი თჳსი უცოლო და უშვილო ყო ჩუენისა წყალობისათჳს. ამათ წაიხუნეს **ხიხანი**, მტერთა ზედა გაცემულნი, ბრძანებითა ღმრთისა სწორთა პატრონთაჲთა. და მიპარვით შესლვასა შინა წმიდაჲ იგი ახოანი **გიორგი** ღამით ვარსკულავის სახედ გამოუჩნდის და ჴმა-უყვის, ვითარცა ჴორციელმან, და ასწავის გზაჲ შესასულელი. ესრეთ დაიყვნა ამას საზარელსა კლდესა ჩაჭრისაგან და გვბოძნა **ხიხანი** ჴელთავე და აჩუენა ჩუენ ზედა წყალობაჲ გამოუთქმელი, მობაძავი მცნებათა მისთაჲ, რომლისათჳს დაითმინა ღუანლი წამებისაჲ.

3. და მას აქაჲთ მრავალთა უცალოებათა და დამართებათაგან ვერცა მათ მოიცალეს და ვერცა ბიძამან და მამამან ჩუენმან და ვერცა ძმათა ჩემთა და ვერცა მე, ღირსებისაგერ ამათ სიტყუათა კადნიერმან. და მაიძულა ეკლესიისა მცირაობითა ერისა ვერდატევენამან და ჴარვისა მიზგითა გულსმოდგინებისა მათისა ნაკლულეფანებაჲმან და ძეელი სახლოვანი დაშლილ იყო და ამისათჳს ჴელ-ვყავ შეკადრებაჲ აღმენებისა, რომლისა სრულქ[352r]მნაჲ მანვე ახოვანმან მოგუანიჭოს.

4. მამულისა ჩუენისა კაცთა, წესისაგერ, დიდი ჴირი ნახეს, გარნა **ბაკოელთა** მეტის-მეტად დიდი მოიჭირვეს, რომელთა ვაზირობითა და შემოხუენითა ჴელ-ვყავ ეკლესიისა მრავლითა სახლოვნებითა აღმენებაჲ მუნ შინა მისრულთა სალოცავად ჴიდროებისა მათისა ნუგეშინის-საცემელად.

5. და პატრონთა მშობელთა ჩუენთა და მამიდათა – **ფოტინეს** და **საგდუხტის** სულსა, და ჩუენ სამთავე ძმათასა და პატრონთა ჩუენთა დათასა – **საგდუხტისსა** და **ცაცადისასა** მოიწსენებდით; და დიოფალ-დიოფლისა, დისავე ჩუენისა – **ვანენისსა**, რომელმან ეკლესიაჲ აღაშენა წმიდისა **იოვანე** მახარებელისაჲ და ღმრთისმეტყუელისაჲ, სამკურნებელი ჩუენი, და აღავსო საწყაული კეთილი დიოფალ-დიოფლისა **ნისიმესი**, პაპისა ჩუენისა პაპისდისაჲ. და წამკითხველნი ამისნი გუაჴსენებდით ამათ ყოველთავე ცოცხალთა და მიცვალებულთა წესისაგერ.

6. ესე ძლისპირნი და სტიქარონნი მე დავსხენ ამით ყოვლითა შემატებულითა და ვირე ცოცხალ ვარ, ოდესცა მინდან, მე მოვიჭმარებ და დასაგულეებლად განაღამცა¹⁰⁸.....

[352v] 7. ჩემთა შვილთა დედამან **ბაგულ** პაშტად წაავო საშენსა შინა წმიდისა მთავარმოწამისა **გიორგისსა** და მას და მისთა შვილთაცა აჴსენებდით – **რუსუდანს**, **ზაქარიას**, **ივანეს**, **ონოფრეს** და **ალსართანს**. და თულა რაჲ მიეცეს, სხუასა ანდერძსა შინა აღვსწერ, თუ წადილი იყოს ღმრთისაჲ და წმიდისა მთავარმოწამისაჲ. და ჩუენ სამთავე თანა ძმისწულსა ჩემსა [353r] **გრიგოლსცა** მოიწსენებდით. და ორნი ჩჴლნი ქალ-ყმანი ჩემნი მარჩბივნი მიიწოდნა ჴენამან სუფევამან და მათცა მოიწსენებდით.

8. პატრონმან ძმამა ჩემმან **აბუსერი** მრავალნი კარგნი ხატნი დაასუენნა დიდრუანნი: ერთი წმიდისა **გრიგოლი** **პართეველისაჲ** და მეორე წმიდისა **დიმიტრისი**, მესამე წმიდისა **გიორგისი**, მეოთხე წმიდისა **იოვანე ოქროპირისაჲ**.

¹⁰⁷ „ჩიტისთველეს“ შორის მოქცეული ტექსტის გასწვრივ აშიაზე განთავსებულია **ტბელ აბუსერისძის შენიშვნა**: „ამას ხატსა... | განრყუნ... | რბი მარჴუენე | ჴელით... | განეკურნ... | შინა რომელი... | ღარა... | ნით და... | თქუენ ესე|იდე... ღმრთი|ს მოყუარ|ენო ე|რნო“ (351r)..

¹⁰⁸ ამ სიტყვების შემდეგ ხელნაწერში გადაფხვილია 22 სტრიქონი (352r-v). ფურცლებზე დატოვებული ცარიელი ადგილი მოგვიანებით „ჴელთას“ პასქალური ცხრილებისთვის და მინაწერებისთვის გამოუყენებიათ.

რომელსა ზედა წმიდად მოწაფე მისი **პროკლე** ხატავს სახითა მთავარდიაკონობისადათა მსახურებად მალლისა მღდელთმთავრობითისა ჯუარის აღპყრობისა მისისა; მეხუთე ხატი **საღმრთოფსა პირისაჲ** და მეექვსე ყოვლადწმიდისა **ღმრთისმშობელისაჲ** ჩვლელი. და მეუღლესა ამისსა, დიოფალ-დიოფალსა, დედასა **გრიგოლისსა**, **თამარს** მოიჭსენებდით, რომლისა სული დიდებულმცა არს წინაჲ წმიდისა სამეგბისა. და მეორესაცა მეუღლესა ერისთავთ-ერისთავისა **აბუსერისსა**, დიოფალ-დიოფალსა **ვახახსა** ესრევ მოიჭსენებდით, რომელი ესეცა მიიწოდა ზენამან სუფევამან.

9. და ესე უწინარეს ჯერ-იყო: სულსა პატრონისა **ხუაშაფსა**, ერისთავ-ერისთავით, მისით ქმრით **გრიგოლითურთ**, რომელნი იყვნეს მშობელნი **აბუსერისნი**, პაპისა ჩუენისანი და **სანანო** ახოანისანი, პატრონთა დათა მათთა – **ცუარისა** და **აგუტისნი**, რომელთა სულნი ეგრეთვე მოჭსენებთა დიდებულ ყოს ღმერთმან პატრონით [353r] ერისთავთ-ერისთავით, ბიძაჲ ჩუენით **გრიგოლითურთ**; და ბებერსა ჩუენსა პატრონსა **ბაღიანდის** მოიჭსენებდით.

10. ძმისა ჩემისა **ვარდანის** მეუღლესა, დიოფალ-დიოფალსა **ნაზის**, მოიჭსენებდით წლითი წლად მიუცილებლად, სასოებით შემოკრებულნი ერნი. და ძმისწულსა ჩემსა **ნათელს**, ასულსა **აბუსერისსა**, მოიჭსენებდით და **ვარდანის** ასულთა, ძმისწულთავე ჩემთა – **ხათუნსა** და **ვანენის**.

11. და ვითაცაღა სოფლისა დასასრული მიგვწოდებდეს, გინა თუ ცოცხალ ვიყუნეთ რომელიმე სადამდინცალა, ნაკითხვითა ამისითა ყოველთა დღესასწაულთა წმიდისა **გიორგისთა** დაგულოცევდით.

12. **შა** ესრეთ იტყოდით შემდგომად წარკითხვისა მღდელი: „ამათ ყოველთა ზემოჭსენებულთა, მეოხებითა წმიდისა მთავარმონამისადათა და ყოველთა წმიდათადათა, მიუტევენ, მეუფეო იესუ ქრისტე, ღმერთო ჩუენო, თანაარსო მამისაო და ყოვლადწმიდისა სულისაო“.

13. **ცკუეთუ** ვინმე მღდელი არკარგი მკითხველი დახუდებოდეთ, ამა ასომთავრად დონადმდე კარგსა მკითხველსა წაკითხვებდით, და დონსა ქუემოდთ ონამდე რომელ წერილ არს, მღდელმან ბძანე, ერისაგან „ამინის“ მოქუმელობითა, ორსავე დღესასწაულსა ცისკრად“.

81-82. <ტებელ აბუსერისძე, ხელნაწერის ზანდუკი>

1. [354r] „† **პირველად ძლისპირნი გალობათანი რვათავე ჳმათა ზედა**
2. **ჯუარი** ქადაგნი
3. **გალობანი** ყოველთა წმიდათანი
4. **გალობანი** ბზობისანი
5. **დიდსა** ორშაბათსა ხუედრნი
6. **დიდსა** სამშაბათსა ხუედრნი
7. **დიდსა** ოთხშაბათსა ცისკრად ხუედრნი
8. **გალობანი** დიდისა ხუთშაბათისნი
9. **დიდისა** პარასკევისა ხუედრნი
10. **გალობანი** დიდსა შაბათსა
11. **ძლისპირნი** უფალო ღალადყავისანი რვათავე ხმათა თანა.
12. **ათორმეტნი** დიდისა პარასკევისანი
13. **ათორმეტნი** ქრისტეს შობისანი
14. **ათორმეტნი** განცხადებისანი
15. **ათორმეტთა** სახარებათა სტიქარონნი აღდგომისანი
16. **აქებდითსა** დიდებისანი
17. **გამოავლინენი** ია ათორმეტთა სახარებისანი
18. **ოხითანი აღდგომისანი რვათავე ჳმათა ზედა იბაკონიცა**
19. **რვა** ჳმანი ფერისცვალებისანი, მარიამისნი და თავისკუეთისანი
20. **სტიქარონნი** საწელიწდონი საუფლოთა დღესასწაულთანი და საჩინოთა წმიდათანი, სტიქარონნი ინდიკტიონისანი, ყოველივე სრულებით ოხითაებითა ჳელსუნაქსართურთ.
21. **თუესა** სეკდენბერსა რვასა, გალობანი წმიდისა ღმრთისმშობელისა შობისანი
22. **გალობანი** წმიდისა იოვანე ოქროპირისანი
23. **გალობანი** წმიდისა გიორგისნი, ძლისპირძნელობისათჳს ჳპირ დასასწავლენი
24. **გალობანი** ტაძრად მიყვანებისანი
25. **გალობანი** ქრისტეს შობისანი
26. **გალობანი** წმიდისა ბასილისნი
27. **გალობანი** განცხადებისანი
28. **გალობანი** მიგებებისანი

29. **გალობანი** ხარებისანი
30. **გალობანი** ფერისცვალებისანი
31. **გალობანი** მარიამობისანი [354v]
32. **გალობანი** თავისკუეთისანი
33. **გალობანი** სინანულისანი თქემულნი დავით მეფისანი
34. ასეულნი გრიგოლი ღმრთისმეტყუელისანი
35. **იამბიკონი** ხუთთა თუეთანი დასრულებამდე იანვარისა
36. **იბაკონი** მარხვათა და ზატიკთანი
37. **ოხითანი** მარხვათა და ზატიკთანი
38. **გამოავლინენი** საწელიწდონი
39. **გამოავლინენი** სამსგვესონი რვათავე წმადთანი
40. **წმიდა** არსნი რვათავე წმადთანი
41. **გალობანი** წმიდისა იოვანე ნათლისმცემლისანი, წმიდისა იოანეთანი სხუათანიცა სამთავე ზიარნი; იოანე მახარებლისანი და იოვანე ოქროპირისანი ჩემგან შემატებულინი, ამითურთ ამას ქუემოფთი ყუელად
42. **იამბიკონი** ახალნი ოთხთა თუეთანი
43. **მეორესა** კვრიკესა მენელსაცხებლეთა ხუედრნი და სამნი სხუანი ხუედრნი, ზატიკთანი და კვრიანი დღენი განზოგებითურთ, ამაღლებითურთ და სულთა შაბათითურთ დიდი მარტკლიისად
44. **უფალო** ღაღადყავი ხატისა უხილავისად, სამითა გალობითა ახალთქმულითა
45. **უფალო** ღაღადყავი წმიდისა გიორგინი და გალობანი მისითა წარდგომითა და იბაკოდთა
46. **გალობანი** წმიდისა დიმიტრისნი და მეორენი წმიდისა თეოდორესნი მათითა უფალო ღაღადყავებითა, წარდგომებითა და იბაკოდებითა
47. **ქრონიკონი** სრული მისითა საუწყებელითა განგებითა
48. **კვკლოსი** ასურული შავთელისაგან თქემულითა განგებითა-იამბიკონითა [355r]
49. **გალობანი** მწვალელებელთა შეჩუენებისანი
50. ახალნი სასწაულნი წმიდისა გიორგისნი“.
 <ზანდუკის დამატება (აშიაზე მიწერილი):>
51. „საგალო[ბელნი] ...თი წმიდათა ეკატერინესი, [ბარ]ბარადსი და [მარ]ინადსი და ...სი დ[ა] წმიდათა მა[ხარ]ებელთა იოვანესი და ლუკადსი და წმიდათა მოციქულთა [პეტრე]სი და პავლესი ამას ქუემო[ფთ] სწერია დ[ა] წმიდისა ნიკოლოზისი
52. • და ჭრელთ[თა] მუჭლებსა გ[ერთა]ა და უფალო ღაღადყავი[სთა] და საწელიწ[დო]თა სტიქარ[ონ]თა შინა მოჰ[ნა]ხვედით.
53. და [გა]ლობანი წმიდისა [ღმრთი]სმშობელ[ისანი] მართლისა ს[ა]რწმუნოებისათჳს“.

83. **გალობანი** წმიდისა ეკატერინესნი, ქალწულმონამისნი. ჳმად ბ (2) გუერდი. უგალობდითსა. გალობად შევნი. – სიბრძნე ყოვლად წმიდისა სულისად დაჰწერგე გონებასა ჩემსა... 355r-357r.

შენიშვნები: 1. წმ. ეკატერინეს 8-ოდიანი „გალობანი“ გიორგი მთაწმიდელის „თვენიდან“ (**აღწერილობა 1979: 186**), რომლის შემდეგაც „უფალო ღაღადყავის“ არასრული ტექსტია მოცემული. ეს ორი გარემოება („უფალო ღაღადყავის“ „გალობათა“ შემდეგ გადატანა და სტიქარონთა სიმცირე) რედაქტორის კომენტარებშია განმარტებული:

ა) **ტბელ აბუსერისძის პირველი კომენტარი** (მთლიანად სინგურითაა შესრულებული): „უფალო ღაღადყავი“ წმიდისა ეკატერინესი ზემოთ არ დაეტეოდა, ვინაგან ამა სხუათაცა ქალწულმონამეთათჳს ფურცელნი უმატენით, არცაღა ამისი „უფალო ღაღადყავი“ დავაგდეთ“ (357r).

ბ) **ტბელ აბუსერისძის მეორე კომენტარი:** „ჭრელნი მუჭლნი სამთავე ქალწულთანი გერთა და სტიქარონთა შინა მონახეთ ამას ზემოთ და გამოავლინენი ყოველთა წმიდათანიცა სწერიან“ (357r).

84. **უფალო ღაღადყავი** წმიდისა ეკატერინადსი ... თუესა ნოენბერსა **ჳე** (25), ჳმად ა (1). „შენ, სიტყუად და“. – დღეს განშუენდების ქალაქი ალექსანდრიელთად, მონამეო... 357r-358r.

შენიშვნა: წმ. ეკატერინეს „უფალო ღაღადყავში“ შედის: ჳმად ა, „შენ სიტყუად“ (სამი ტროპარი), „მწენონი“ (სამი ტროპარი). ტბელ აბუსერისძის კომენტარის თანახმად, „უფალო ღაღადყავის“ სხვა მასალა („ჭრელნი მუჭლნი“) წარმოდგენილია „გერებში“ („უფალო ღაღადყავის“ ირმოლოგიონში, ძლისპირებთან ერთად) და

„სტიქარონებში“ (ანუ „ჯელსუნაქსარში“). მათგან წმ. ეკატერინესადმი მიძღვნილი მუხლი („ცხოვრებად უნივთოდ გქონდა“) მხოლოდ სტიქარონებშია შეტანილი (A-85, 134r).

85. ამასვე დღესა წმიდისა კლემენტოს ჰრომთა პაპისად. ჴმად **ბ** (2). „მამისაგან“. – ვაზად ვენაჴისა ცხოველისა... – 358r-v.

შენიშვნა: წმ. კლემენტოს ჰრომთა პაპის ჰიმნოგრაფიული ციკლი („უფალო ღალადყავი“, ჴმად **ბ** (სამი მუხლი); „გიხაროდენი“, ჴმად **ა** გუერდი; „ნარდგომად“ **გ**) გიორგი მთაწმიდელის „თვენიდან“ (*აღწერილობა* 1979: 186).

86. თუესა დეკენბერსა **დ** (4), წმიდისა ბარბარაჲსი და წმიდისა იოვანე დამასკელისად. [უფალო ღალადყავსა. ჴმად] **ბ** (2). „მამისაგან შობ“. – რაჴუმს იხილა სამჴაჴროსა მას საშინელსა ივლია მონამე ბარბარა... 358v-363r.

შენიშვნა: წმ. ბარბარეს ჰიმნოგრაფიული ციკლი („უფალო ღალადყავი“, „მჴნეონი“, „ნარდგომად“), რომელსაც მოსდევს წმ. იოანე დამასკელისადმი მიძღვნილი „სხუად **ა** გუერდი“, წმ. ბარბარეს „იბაკოჲ“ და „იკოსი“, დასახელებულია „ოხითად“: ქალწულმონამისა და წმიდისა, წარმოდგენილია „წმიდა ბარბარეს გალობანი, ჴმად **ბ**“) და „გამოავლინე“, ტექსტების უმრავლესობა – გიორგი მთაწმიდელის „თვენიდან“ (*აღწერილობა* 1979: 189).

87. თუესა ივლისისა **იზ** (17), წმიდისა მონამისა მარინაჲსი. ჴმად **ა** (1). „წმიდანო მარტვილნო“. – მარინა დიდებულო, მტკიცეთა ღუანლთა მიერ დაეცა ჴახებად მტერისად... 363r-366r.

შენიშვნა: წმ. მარინას ჰიმნოგრაფიული ციკლი გიორგი მთაწმიდელის „თვენიდან“, რომელშიც შედის: „უფალო ღალადყავი“, „მჴნეონი“, „გიხაროდენი“, „ნარდგომად“ და 8-ოდიანი „გალობანი“ (მდრ.: *აღწერილობა* 1979: 215). ახლავს **ტბელ აბუსერისძის შენიშვნა**, რომელიც აღარ იკითხება: „.....ნი“ (384v).

88. თუესა სეკდენბერსა **კვ** (26), გარდაცვალებად წმიდისა იოვანე მახარებელისა და ღმრთისმეტყუელისად. – 366v-371r.

შენიშვნები: ჰიმნოგრაფიული ციკლი გიორგი მთაწმიდელის „თვენიდან“: 1. უფალო ღალადყავსა, ჴმად **ა**. „შენ სიტყუად“. – მოციქულსა ქრისტესსა, მოვედით, ერნო, პატისცემდეთ... 2. [სხუანი **დ** გუერდი]. „შ, სასნაული“. – შ, სანატრელო იოვანე... 3. სტიქარონი [ა]. „ნათელი ნათლი“. – ნერგი უკუდავებისად... 4. [იოვანე. სხუად]. – მდინარენი ღმრთისმეტყუელებისანი... 5. [თეოფანე. სხუად **დ** გუერდი]. „არად დააკლდი“. – ღმრთისმეტყუელი იოვანე... 6. [აქებდითსა]. „შენ სიტყუად“. – მხილველმან გამოუთქუმელთა... 7. [სხუად]. „ედემი“. – სამოთხედ სულიერად გამოჴნდი... 8. ნარდგომად **ბ**. – უფროჲს შუყუარებულო იოვანე... 9. ოხითად **ბ**. – მოციქულო ქრისტეს ღმრთისაო... 10. იბაკოჲ. – დიდებულებანი შენნი... 11. „გალობანი“. **ა**. უგალობდითსა. „მხილველი ღმრთისად“. – ღმრთისმეტყუელსა... 12. გამოავლინე. **ა**. – მეთევზურთაგან გამოჴნდი...

2. წმ. იოანე მახარებლის ჰიმნოგრაფიული ციკლი გამოცემულია (*თვენი* 2007: 351-361). A-85 ნუსხაში საგალობლის ცალკეული სეგმენტები გამოცემული ტექსტისგან განსხვავებული რედაქციისაა.

89. თუესა ოკდონბერსა **იჭ** (18), წმიდისა ლუკა მახარებელისად. უფალო ღალადყავსა, ჴმად **ა** (1). „შენ სიტყუად“. – სიტყუათა შენთა ბადითა საცთურისა სიღრმით აღმომიყვანენ კაცნი... 371r-374r.

შენიშვნა: წმ. ლუკა მახარებლის ჰიმნოგრაფიული ციკლი გიორგი მთაწმიდელის „თვენიდან“, რომელშიც შედის: „უფალო ღალადყავი“, „სხუანი“, „გიხაროდენი“, „მჴდომარე“, „ოხითად“, „ნარდგომად“, „იბაკოჲ“, „გალობანი“, „გამოავლინე“ (მდრ.: *აღწერილობა* 1979: 174).

90. თუესა დეკენბერსა **ვ** (6), წმიდისა მამისა ჩუენისა ნიკოლოზისი. უფალო ღალადყავსა, ჴმად **ა** (1). „შენ სიტყუად“. – ეკლესიისა შვილნი სწავლითა აღაფრინვენ, ვითარცა მართუენი ზეცისა ბუდისანი... 374v-378r.

შენიშვნა: წმ. ნიკოლოზის ჰიმნოგრაფიული ციკლი გიორგი მთაწმიდელის „თვენიდან“: „უფალო ღალადყავი“, სტიქარონი, „ოხითად“, „ნარდგომად“, „იბაკოჲ“, „გალობანი“ და „გამოავლინე“ (მდრ.: *აღწერილობა* 1979: 189-190).

91. თუესა იენისსა **კთ** (29), წმიდათა და ყოვლად ქებულთა თავთა მოციქულთა პეტრესი და პავლესი. [ჴმად] **ბ** (2). – ეჴა, გვრგვნო ქებისანო, შემკობილნო თჴუენ, პეტრე და პავლე... 378r-381v.

შენიშვნა: წმ. პეტრე და წმ. პავლე მოციქულების ჰიმნოგრაფიული ციკლი გიორგი მთაწმიდელის „თვენიდან“: „უფალო ღაღადყავი“, სტიქარონი, „იბაკოჲ“ და „გალობანი“ (მდღ.: **აღწერილობა 1979: 210**).

92. გალობანი წმიდისა ღმრთისმშობელისანი სარწმუნოებისათჳს მართლისა. ჳმად (4) გუერდი. უგალობდითსა... 382r-385r.

92.1. „გალობანი წმიდისა ღმრთისმშობელისანი სარწმუნოებისათჳს მართლისა“ ტბელ აბუსერისძის თხზულებაა და იბეჭდება წინამდებარე წიგნში.